

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ დავით მჭედლიძეს

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს და მისი შვილობილი კომპანიების შპს „მუქსი“-სა და შპს „უნიმედია“-ს (შემდგომში „ჯგუფის“) ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ შვილობილების მწირი და არაარსებითი ოპერაციების გამო (აქტიური ოპერაციები არ უწარმოებიათ) ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების მკითხველისათვის არ იქნებოდა საინტერესო და ინფორმაციული შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ს კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება, რადგან:

- მისი ინდივიდუალური შედეგები არსებითად არ განსხვავდება ჯგუფის შედეგებისაგან;
- კომპანიის ინდივიდუალური ანგარიშგება, ჯგუფის ოპერაციებისა და ფინანსური შედეგების სრულ და სამართლიან პრეზენტაციას ახდენს.

ამიტომ, 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადდა, მასზედ დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაიცა და გამოქვეყნდა მხოლოდ ინდივიდუალური ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება. აღნიშნული საკითხი აუდიტის პროცესში შეთანხმდა კომპანიის აუდიტორთან - შპს „ინოქსი“, რომელმაც შვილობილის ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება არ მიიჩნია არსებითად და მათზე დამატებითი აუდიტის პროცედურები არ ჩატარა.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვისაც, წარმოგიდგენთ მხოლოდ ინდივიდუალურ ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებას.

2021 წლის 19 ოქტომბერი

პატივისცემით,

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“
გენერალური დირექტორი

პაატა სალია



შპს „ინოქსი“
დირექტორი

ირაკლი ჭილაძე

